სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შინაარსი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
ფინანსური ანგარიშგება	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-25

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“).

Nexia TA

Member of Nexia International

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სააქციო საზოგადოება ,,საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-20 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვდენილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თადართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თიეი"-ს სახელით

10 აპრილი, 2020
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
მოზიდული პრემია		8,675,253	14,542,221
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში		(1,516,236)	(2,324,365)
წმინდა მოზიდული პრემია		**7,159,017**	**12,217,856**
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		4,184,171	(1,414,955)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადამზღვევლის წილი		55,643	170,280
წმინდა გამომუშავებული პრემია	4	**11,398,831**	**10,973,181**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		547,203	389,742
საკომისიო შემოსავალი	5	443,889	744,736
სულ წმინდა შემოსავალი		**12,389,923**	**12,107,659**
ანაზღაურებული სამედიცინო დაზღვევის ზარალები	6	(10,303,618)	(8,999,126)
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	6	1,186,831	1,164,842
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	10	318,841	(1,333,294)
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	10	(110,697)	439,791
ზარალის დარეგულირების ხარჯები		(42,986)	(61,599)
შემოსავალი რეგრესიდან		192,771	165,447
წმინდა სადაზღვევო ზარალები		**(8,758,858)**	**(8,623,939)**
საკომისიო ხარჯები		(1,856)	(37,689)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,046,570)	(1,844,382)
გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი		(266,702)	-
საპროცენტო ხარჯი		(48,139)	(4,417)
სხვა შემოსავალი და ხარჯები, წმინდა		23,453	30,843
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,690)	(1,789)
მოგება დაბეგვრამდე		**1,289,561**	**1,626,286**
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(230,582)	(243,943)
წლის მოგება		**1,058,979**	**1,382,343**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,058,979**	**1,382,343**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი

ვასილ გომურაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი
ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	348,483	160,746
გადაზღვევის აქტივები	10	570,017	625,071
გადაზღვევის მოთხოვნები	11	1,590,319	1,961,965
სხვა აქტივები	12	104,489	205,213
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	13	2,890,792	6,355,107
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	14	4,920,664	4,342,450
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	388,167	1,288,850
სულ აქტივები		**10,812,931**	**14,939,402**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	3,180,100	3,180,100
გაუნაწილებელი მოგება		2,788,839	1,738,482
		5,968,939	**4,918,582**
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	10	2,413,749	6,916,761
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	11	1,519,426	2,253,851
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	5	69,584	49,621
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	8	36,323	31,375
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	16	180,911	384,077
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	176,656	180,471
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	8	447,343	204,664
		4,843,992	**10,020,820**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**10,812,931**	**14,939,402**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი

ვასილ გომურაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 15)	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ კაპიტალი**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,200,100**	**356,139**	**2,556,239**
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	980,000	-	**980,000**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,382,343	**1,382,343**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,180,100**	**1,738,482**	**4,918,582**
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებული კორექტირება (შენიშვნა 2.2)	-	(8,622)	**(8,622)**
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,180,100**	**1,729,860**	**4,909,960**
წლის სრული შემოსავალი	-	1,058,979	**1,058,979**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,180,100**	**2,788,839**	**5,968,939**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი

ვასილ გომურაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	11,931,359	11,813,470
გადახდები გადამზღვევლებისთვის	(92,126)	(42,256)
სადაზღვევო ზარალების გადახდები	(10,099,094)	(8,885,771)
სხვა გადახდები	(2,094,394)	(1,623,031)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(354,255)**	**1,262,412**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(167,726)	(127,555)
მიღებული პროცენტი	387,988	363,064
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**220,262**	**235,509**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აქციების გამოშვება	-	980,000
სესხების მიღება	-	379,660
მიღებული სესხების გადახდა	(345,000)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(345,000)**	**1,359,660**
ფულის წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(478,993)	2,857,581
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	(1,690)	(1,789)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**5,588,950**	**2,733,158**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**5,108,267**	**5,588,950**
შემადგენლობა:		
ფული და ფულის ეკვივალენტები	388,167	1,288,850
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,920,664	4,342,450
სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	**5,308,831**	**5,631,300**
მინუს დარიცხული პროცენტი	(200,564)	(42,350)
სულ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის	**5,108,267**	**5,588,950**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 10 აპრილს.

არჩილ მორჩილაძე
გენერალური დირექტორი

ვასილ გომურაშვილი
ფინანსური დირექტორი

9-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი (შემდგომში „კომპანია") არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2017 წლის მაისში და ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურების გაწევა საქართველოში (იხ. გ/შენიშვნა 3).

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია მარიჯანის ქ. 4, თბილისი, საქართველო.

კომპანიის აქციონერები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

არჩილ მორჩილაძე	51%
შპს „კლინიკა ნიუმედი"	49%
	100%

შპს „კლინიკა ნიუმედის" 100%-ს ფლობს ხათუნა მორჩილაძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, საკუტარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს, ასევე განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი არის ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სადაზღვევო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 20) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.2. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ დაიწყო IFRS 16 *იჯარის* გამოყენება. ამ სტანდარტმა ჩაანაცვლა IAS 17 *იჯარა* და აქტივის იჯარით მიმღებისთვის გააუქმა კლასიფიკაცია საოპერაციო და ფინანსურ იჯარად. გარდა მოკლევადიანი იჯარის და დაბალი ღირებულების აქტივებისა, იჯარით მიღებული აქტივი აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი გამოყენების უფლებით (right-of-use asset) და ასევე აღიარდება შესაბამისი საიჯარო ვალდებულება. საოპერაციო იჯარის ნრფივად აღიარების ნაცვლად, ხარჯად აღიარდება გამოყენების უფლებით მიღებული აქტივის ცვეთა და იჯარის ვალდებულების საპროცენტო ხარჯი.

განმარტებითი შენიშვნები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების ეფექტი

IFRS 16-ის მოთხოვნების აღიარება მოხდა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით.

ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის გაუნაწილებელ მოგებაზე არის შემდეგი:

აქტივი გამოყენების უფლებით (IFRS 16)	115,073
საიჯარო ვალდებულება (IFRS 16)	(123,695)
გაუნაწილებელი მოგების შემცირება	**(8,622)**

კომპანია იყენებს IFRS 16-ით ნებადართულ შემდეგ გამარტივებულ მიდგომებს:

- იჯარა, რომლის ვადა იწურება 2019 წლის 1 იანვრიდან 12 თვის განმავლობაში, აღირიცხება, როგორც მოკლევადიანი იჯარა;
- როდესაც საიჯარო კონტრაქტი არის გაგრძელებადი ან შესაძლებელია მისი შეწყვეტა, ხდება ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინება.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. ეს ეხება IFRS 9 *ფინანსურ ინსტრუმენტებსაც*, ვინაიდან, 2016 წლის სექტემბერში მიღებული ცვლილებით, სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, 2021 წლამდე გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება (ნაცვლად IFRS 9-ისა). 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 *სადაზღვევო კონტრაქტები*, რომელიც 2021 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს.

2.3. სადაზღვევო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

2.3.1. მოზიდული პრემია

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამომუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (გ/შენიშვნა 2.8).

2.3.2. გადაზღვევის პრემია

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია არის წლის განმავლობაში აღიარებული დასათმობი პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

2.3.3. სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

2.4. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით.

განმარტებითი შენიშვნები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

• იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• საწყობის შენობა	5% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
• სხვა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.5. აქტივი გამოყენების უფლებით (ROU აქტივი)

ROU აქტივი აღიარდება იჯარის დაწყებისას და ფასდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულების საწყისი ოდენობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით. ROU აქტივის ცვეთა ხორციელდება წრფივად, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

2.6. არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის (15% შემცირებადი ნაშთით) გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

2.7. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.8. ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური

განმარტებითი შენიშვნები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.8.1. დაზღვევასთან დაკავშირებული აქტივები

- სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა არის გამომუშავებული (გადახდის ვადადამდგარი) და გამოუმუშავებელი პრემიების მოთხოვნის ჯამი.
- მოთხოვნა გადამზღვევლისგან არის გადამზღვევლის წილი გადასახდელ ან გადახდილ ზარალებში და გადამზღვევლებისგან საკომისიოს მოთხოვნა.
- გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს გადამზღვევლის წილს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.
- რეგრესის მოთხოვნა არის მესამე მხარეებისგან მოთხოვნილი და მიუღებელი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

2.8.2. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის დაწყების თარიღში. თავდაპირველად, საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რაც განისაზღვრება საიჯარო გადახდების დისკონტირებით. დისკონტირება ხორციელდება ზღვრული სასესხო განაკვეთით.

2.9. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი

განმარტებითი შენიშვნები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო თარიღში. IBNR გამოითვლება კანონმდებლობის შესაბამისად: მოზიდული პრემიის 5% ყველა სადაზღვევო კონტრაქტისთვის, გარდა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევისა და მოზიდული პრემიის 2% სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში. არ ხდება ვალდებულების დისკონტირება დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით. არ ხდება კატასტროფის რეზერვის აღიარება. ვალდებულება ჩამოიწერება, როცა ხდება გადახდა, გაქვითვა ან ანულირება.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ ამოწურულ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

2.9.1. ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას (მინუს აკვიზიციის გადავადებული ხარჯი). თუ აღმოჩნდება, რომ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი არის არაადეკვატური, ხდება პრემიის დეფიციტის რეზერვის აღიარება მოგება-ზარალის გამოყენებით.

2.10. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.87	3.21
საშუალო გაცვლითი კურსი 2019 წელს	2.82	3.16
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წელს	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.11. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

განმარტებითი შენიშვნები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

2.12. ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.13. კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისო კაპიტალში.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.14. ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც კომპანია არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას. შეფასებები კეთდება როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინასნურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო ვალდებულების უმეტეს ნაწილს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

განმარტებითი შენიშვნები

4. წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019			2018		
	მოზიდული პრემია	**გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში**	**წმინდა მოზიდული პრემია**	**მოზიდული პრემია**	**გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში**	**წმინდა მოზიდული პრემია**
სამედიცინო	4,172,274	-	4,172,274	9,059,030	-	9,059,030
MTPL (სავალდ.)	2,261,523	-	2,261,523	1,859,142	-	1,859,142
კასკო	1,776,507	(1,243,555)	532,952	3,077,284	(1,974,473)	1,102,811
ავტო TPL	154,328	(91,737)	62,591	201,996	(139,437)	62,559
კარგო	94,075	(78,509)	15,566	30,634	(22,502)	8,132
უბედური შემთხვევა	61,916	(19,960)	41,956	75,376	(46,586)	28,790
საავიაციო ტრანსპ.	54,544	(42,227)	12,317	59,918	(42,574)	17,344
ვალდ. შესრულება	37,693	-	37,693	38,344	-	38,344
ქონება	33,076	(26,737)	6,339	106,991	(85,593)	21,398
საავიაციო TPL	17,453	(13,511)	3,942	18,577	(13,200)	5,377
სამოგზაურო	11,418	-	11,418	12,229	-	12,229
TPL	446	-	446	2,700	-	2,700
	8,675,253	**(1,516,236)**	**7,159,017**	**14,542,221**	**(2,324,365)**	**12,217,856**
ცვლილება UPR-ში	4,184,171	55,643	4,239,814	(1,414,955)	170,280	(1,244,675)
წმინდა გამომუშ. პრემია	**12,859,424**	**(1,460,593)**	**11,398,831**	**13,127,266**	**(2,154,085)**	**10,973,181**

ავტო TPL (სავალდებულო) - ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას. მის ადმინისტრირებას ახორციელებს აიპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი". ცენტრმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის 1 მარტიდან. სავალდებულო ავტო TPL დაზღვევა არის ერთობლივი ოპერაცია, სადაც 17 ქართული სადაზღვევო კომპანია (კომპანიის ჩათვლით) არიან ერთობლივი ოპერატორები და თანაბრად ინაწილებენ სადაზღვევო შემოსავალს და რისკებს. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოდგენილია მე-10 გ/შენიშვნაში.

5. საკომისიო შემოსავალი

საკომისო შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	**2018**
ბრუტო საკომისიო შემოსავალი	463,852	788,917
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	(69,584)	(49,621)
წინა პერიოდში გადავადებული შემოსავლის გამომუშავება	49,621	5,440
საკომისიო შემოსავალი	**443,889**	**744,736**

გადავადებული საკომისიო შემოსავლის მოძრაობა:

	2019	**2018**
1 იანვარი	**49,621**	**5,440**
ბრუტო საკომისიო შემოსავალი	463,852	788,917
ამორტიზაცია	(443,889)	(744,736)
31 დეკემბერი	**69,584**	**49,621**

განმარტებითი შენიშვნები

6. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019			2018		
	ანაზღაურე-ბული	გადამზღვე-ვლის წილი	წმინდა ანაზღაურება	ანაზღაურე-ბული	გადამზღვე-ვლის წილი	წმინდა ანაზღაურება
სამედიცინო	8,487,021	-	8,487,021	7,163,027	-	7,163,027
კასკო	1,540,945	(1,078,661)	462,284	1,627,334	(1,063,483)	563,851
ავტო TPL	143,603	(100,522)	43,081	143,156	(100,209)	42,947
MTPL სავალდ.	122,812	-	122,812	59,776	-	59,776
კარგო	8,021	(6,743)	1,278	-	-	-
ქონება	832	(665)	167	-	-	-
უბედური შემთხვევა	342	(240)	102	1,641	(1,150)	491
სამოგზაურო	42	-	42	42	-	42
ვალდ. შესრულება	-	-	-	4,150	-	4,150
	10,303,618	**(1,186,831)**	**9,116,787**	**8,999,126**	**(1,164,842)**	**7,834,284**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
თანამშრომელთა კომპენსაცია	1,254,074	1,099,752
„სავალდებულო დაზღვევის ცენტრის" საწევროები	260,396	214,283
ზედამხედველობის სამსახურის გადასახადი	128,594	131,273
იჯარა	83,774	69,082
ცვეთა და ამორტიზაცია	72,333	21,394
მარკეტინგი	61,815	50,333
საოფისე	28,001	36,008
საკომუნიკაციო და კომუნალური	57,724	33,905
სხვა	99,859	188,352
	2,046,570	**1,844,382**

აუდიტის მომსახურების ხარჯი 2019 წელს შეადგენდა 10,000 ლარი (2018:10,100 ლარი).

8. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოგების გადასახადის ხარჯი:	2019	2018
მიმდინარე მოგების გადასახადი	139,246	135,277
მოგების გადასახადის ანარიცხი	86,388	77,291
გადავადებული მოგების გადასახადი	4,948	31,375
	230,582	**243,943**

მოგების გადასახადის რეკონსილაცია:	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	1,289,561	1,626,286
თეორიული მოგების გადასახადი (15%)	**193,434**	**243,943**
დროებითი სხვაობების ეფექტი	(4,948)	(31,375)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	37,148	-
მოგების გადასახადის ხარჯი	**225,634**	**212,568**
	17%	13%

განმარტებითი შენიშვნები

8. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება შედგება შემდეგი დროებითი სხვაობებისგან:

	2019	2018
ძირითადი საშუალებები	52,272	14,604
რეგრესის მოთხოვნა	-	16,771
საიჯარო ვალდებულება	(15,949)	-
	36,323	**31,375**

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური") მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). სადაზღვევო კომპანიებისთვის კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, უკანასკნელი ცვლილებების შედეგად, აღნიშნული გადავადდა 4 წლით. შესაბამისად, კომპანია აღიარებს გადავადებული მოგების გადასახადს.

მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება:

	2019	2018
მიმდინარე მოგების გადასახადი	243,702	87,411
მოგების გადასახადის ანარიცხი	203,641	117,253
	447,343	**204,664**

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ROU აქტივები	იჯარით აღებულის მოწყობა	საწყობის შენობა	კომპ. ტექნიკა	ავეჯი და საოფისე აღჭ.	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი 2018	**-**	**30,362**	**14,287**	**8,741**	**12,880**	**66,270**
შეძენა	-	530	66,758	14,977	36,314	118,579
31 დეკემბერი 2018	**-**	**30,892**	**81,045**	**23,718**	**49,194**	**184,849**
IFRS16 კორ. (შენიშვნა 2.2)	146,457	-	-	-	-	146,457
შეძენა	-	36,752	72,552	33,159	2,387	144,850
31 დეკემბერი 2019	**146,457**	**67,644**	**153,597**	**56,877**	**51,581**	**476,156**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2018	**-**	**537**	**924**	**158**	**1,262**	**2,881**
ცვეთა	-	4,581	9,702	2,984	3,955	21,222
31 დეკემბერი 2018	**-**	**5,118**	**10,626**	**3,142**	**5,217**	**24,103**
IFRS16 კორ. (გ/შ 2.2)	31,384	-	-	-	-	31,384
ცვეთა	20,922	8,821	22,774	9,429	10,240	72,186
31 დეკემბერი 2019	**52,306**	**13,939**	**33,400**	**12,571**	**15,457**	**127,673**
ნარჩენი ღირ.						
31 დეკემბერი 2018	**-**	**25,774**	**70,419**	**20,576**	**43,977**	**160,746**
31 დეკემბერი 2019	**94,151**	**53,705**	**120,197**	**44,306**	**36,124**	**348,483**

ძირითადი საშუალებების ცვეთა მთლიანად შედის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განმარტებითი შენიშვნები

10. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR)	1,059,514	5,243,685
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS)	1,121,453	1,333,954
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	232,782	339,122
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	**2,413,749**	**6,916,761**

გადამზღვევლის წილი სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	2019	2018
გადამზღვევლის წილი UPR-ში	240,923	185,280
გადამზღვევლის წილი RBNS-ში	329,094	439,791
გადამზღვევლის წილი IBNR-ში	-	-
გადაზღვევის აქტივები	**570,017**	**625,071**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები გადამზღვევლის წილის გამოკლების შემდეგ:

	2019	2018
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR)	818,591	5,058,405
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები (RBNS)	792,359	894,163
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი (IBNR)	232,782	339,122
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი წმინდა ვალდ.	**1,843,732**	**6,291,690**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების და გადამზღვევლის წილის ბრუნვის ანალიზი:

(a) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR):

	2019	2018
1 იანვრის მდგომარეობით	**5,243,685**	**3,828,730**
მოზიდული პრემია	8,675,253	14,542,221
გამომუშავებული პრემია	(12,859,424)	(13,127,266)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,059,514**	**5,243,685**

გადამზღვევლის წილი:

	2019	2018
1 იანვრის მდგომარეობით	**185,280**	**15,000**
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	1,516,236	2,324,365
გადამზღვევლის წილი გამომუშავებულ პრემიაში	(1,460,593)	(2,154,085)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**240,923**	**185,280**

წმინდა UPR:

	2019	2018
1 იანვრის მდგომარეობით	**5,058,405**	**3,813,730**
წმინდა მოზიდული პრემია	7,159,017	12,217,856
წმინდა გამომუშავებული პრემია	(11,398,831)	(10,973,181)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**818,591**	**5,058,405**

განმარტებითი შენიშვნები

10. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

(b) ზარალების რეზერვი (RBNS და IBNR):

	2019	2018
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	1,333,954	234,357
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	339,122	105,425
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	**1,673,076**	**339,782**
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	9,984,777	10,332,420
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(10,303,618)	(8,999,126)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	**(318,841)**	**1,333,294**
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,121,453	1,333,954
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	232,782	339,122
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,354,235**	**1,673,076**

გადამზღვევლის წილი RBNS-ში:

	2019	2018
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	439,791	-
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	**439,791**	**-**
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	1,076,134	1,604,633
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(1,186,831)	(1,164,842)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	**(110,697)**	**439,791**
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	329,094	439,791
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**329,094**	**439,791**

RBNS და IBNR, ნეტო:

	2019	2018
RBNS 1 იანვრის მდგომარეობით	894,163	234,357
IBNR 1 იანვრის მდგომარეობით	339,122	105,425
სულ დამდგარი ზარალები 1 იანვრის მდგომარეობით	**1,233,285**	**339,782**
პერიოდის განმავლობაში მომხდარი ზარალები	8,908,643	8,727,787
პერიოდის განმავლობაში გადახდილი ზარალები	(9,116,787)	(7,834,284)
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	**(208,144)**	**893,503**
RBNS 31 დეკემბრის მდგომარეობით	792,359	894,163
IBNR 31 დეკემბრის მდგომარეობით	232,782	339,122
სულ დამდგარი ზარალები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,025,141**	**1,233,285**

11. გადაზღვევა

	2019	2018
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	(1,519,426)	(2,253,851)
გადაზღვევის მოთხოვნები:		
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	1,014,200	1,164,842
მოსაღები საკომისიო	576,119	797,123
ვალდებულება გადამზღვევლების მიმართ, წმინდა	**70,893**	**(291,886)**

განმარტებითი შენიშვნები

12. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
რეგრესის მოთხოვნა	40,241	111,804
გადახდილი ავანსები	42,518	83,231
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,798	5,021
არამატერიალური აქტივები, ამორტიზაციის გამოკლებით	3,932	3,301
გადავადებული აკვიზიციის ხარჯი	7,000	1,856
	104,489	**205,213**

13. სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნები კლიენტების მიხედვით:

	2019	2018
სს „საქართველოს რკინიგზა" (სამედიცინო დაზღვევა)	789,499	4,125,807
სასჯელაღსრულების სამინისტრო (სამედიცინო დაზღვევა)	193,475	267,710
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სამედიცინო დაზღვევა)	124,480	-
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" (სამედიცინო დაზღვევა)	1,404	1,169,276
სხვა მოთხოვნები სამედიცინო დაზღვევიდან	129,363	12,232
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (კასკო)	899,693	560,179
MTPL სავალდებულო	207,876	140,677
სხვა მოთხოვნები არასამედიცინო დაზღვევიდან	629,082	79,226
გაუფასურების ანარიცხი	(84,080)	-
სულ სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	**2,890,792**	**6,355,107**

სადაზღვევო პრემიის მოთხოვნის სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ფული და ფულის ექვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	373,116	1,286,951
ნაღდი ფული	15,051	1,899
ფული და ფულის ეკვივალენტები	**388,167**	**1,288,850**
მოკლევადიანი დეპოზიტები სს „ფინკა ბანკი საქართველოში"	3,300,100	3,180,100
მოკლევადიანი დეპოზიტი სს „თიბისი ბანკში"	100,000	100,000
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „თიბისი ბანკში"	1,020,000	1,020,000
დარიცხული პროცენტი	200,564	42,350
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**4,620,664**	**4,342,450**
სულ ფული და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**5,008,831**	**5,631,300**

ფული და ფულის ექვივალენტების და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ შეზღუდულ ფულს (სავალდებულო რეზერვს) სარეგულაციო კანონმდებლობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული სავალდებულო რეზერვის ოდენობა დამოკიდებულია ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) შეფასებულ ოდენობაზე.

განმარტებითი შენიშვნები

15. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება შემდეგი ოდენობის ჩვეულებრივი აქციებისგან, 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი:

	2019	2018
ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	4,200,100	4,200,100
გადაუხდელი	(1,020,000)	(1,020,000)
გადახდილი სააქციო კაპიტალი	**3,180,100**	**3,180,100**

აქციონერები წარმოდგენილია გ/შ 1 *ზოგად ინფორმაციაში*. სარეგულაციო კანონდებლობის კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ იხ. მე-18 გ/შენიშვნა, კაპიტალის მართვის ნაწილი.

16. მიღებული სესხი

მიღებული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
საიჯარო ვალდებულება აქციონერისადმი (10.9%)	106,327	-
მოკლევადიანი სესხი აქციონერისგან (12%)	74,584	384,077
	180,911	**384,077**

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
დავალიანება მომწოდებლებისადმი	65,207	51,506
მიღებული ავანსები (საგარანტიო დეპოზიტები)	52,004	-
სხვა მიღებული ავანსები	47,325	-
დავალიანება სახელმწიფო ზედამხედველობისადმი	-	115,629
სხვა ვალდებულებები	12,120	13,336
	176,656	**180,471**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

18. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რისკებთან. ამიტომ რისკების მართვა წარმოადგენს მისი სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რისკის მუდმივი განსაზღვრის, შეფასების და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესის მეშვეობით რისკების ლიმიტის და სხვა კონტროლის გათვალისწინებით. კომპანიაში მომუშავე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებსაც მოიცავს მისი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ამ რისკებთან მიმართებაში.

მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სტრუქტურის ძირითადი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც ხელს უშლის მის მიერ დასახული მიზნების მდგრად მიღწევას, მათ შორის მოიაზრება შესაძლებლობების გამოუყენებლობა. კომპანია აღიარებს რისკების მართვის ქმედითი და ეფექტური სისტემის არსებობის კრიტიკულ მნიშვნელობას.

განმარტებითი შენიშვნები

18. რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიამ შექმნა რისკების მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობის შესაბამისი წევრების მიმართ რისკების მართვის დადგენილი პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს ასეთი პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ხარისხი და დივერსიფიკაცია, სადაზღვევო და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კორპორაციულ მიზნებთან და მიუთითებს ანგარიშგების მოთხოვნებს.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა

კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტორების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კომპანიის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღუდველ დებულებებს, მაგალითად კაპიტალის ადეკვატურობა – სადაზღვევო კომპანიების მხრიდან დეფოლტის და გაკოტრების რისკის შესამცირებლად, რათა შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულება მათი წარმოშობისას.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მისი სადაზღვევო და არასადაზღვევო ბიზნესისთვის არის საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობა ნორმატიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მარეგულირებელი მითითებების საფუძველზე.

მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ

კომპანია ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს უკუგების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის რეალურ და საჭირო დონეებს შორის განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.

გასულ წელს, წინა წელთან შედარებით კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

კაპიტალის მართვა

საქართველოს სადაზღვევო სექტორს არეგულირებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჟის უზრუნველყოფა.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის #27 ბრძანების მიხედვით, მზღვეველის სადაზღვევო საქმიანობის გახორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 2,200,000 ლარზე ნაკლები და კომპანიას ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს ამ ოდენობის ფულადი სახსრები

განმარტებითი შენიშვნები

18. რისკების მართვა (გაგრძელება)

საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშებზე. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა არის 4,200,00 ლარი 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში და 7,200,00 ლარი შემდგომში.

კომპანია აკმაყოფილებდა საზედამხედველო კანონმდებლობის მოთხოვნებს კაპიტალთან მიმართებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18.1. სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რაც მოიცავს სადაზღვევო ზარალის ოდენობის და დადგომის დროის გაურკვევლობას. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა შეფასებულ ოდენობას. აღნიშნულზე გავლენას ახდენს ზარალების სიხშირე და მასშტაბი.

რისკების შემცირება ხდება ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. კომპანია ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, ეპიდემიების და მსგავსი შემთხვევების შედეგად. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო კონცენტრაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს. ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია აქვს.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები* და *პირობითი აქტივები* მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

18.2. ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- **საკრედიტო რისკი:** ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

განმარტებითი შენიშვნები

18. რისკების მართვა (გაგრძელება)

- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. საანგარიშგებო პერიოდში ეს რისკი კომპანიისთვის არ იყო არსებითი.

ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	**2019**	**2018**
ფული და ფულის ექვივალენტები	388,167	1,288,850
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,920,664	4,342,450
სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	2,890,792	6,355,107
გადაზღვევის მოთხოვნები	1,590,319	1,961,965
რეგრესის მოთხოვნა (სხვა აქტივები)	40,241	111,804
	9,830,183	**14,060,176**
ფინანსური ვალდებულებები		
წმინდა სადაზღვევო ზარალები (წმინდა RBNS და IBNR, გ/შ 10)	1,025,141	1,233,285
ვალდებულება გადამზღვევლის მიმართ	1,519,426	2,253,851
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	180,911	384,077
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	176,656	180,471
მოგების გადასახადის ვალდებულება	447,343	204,664
	3,349,477	**4,256,348**

18.2.1. საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	2019	**2018**
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	373,116	1,286,951
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,920,664	4,342,450
სადაზღვევო მოთხოვნები	2,890,792	6,355,107
გადაზღვევის მოთხოვნები	1,590,319	1,961,965
რეგრესის მოთხოვნა (სხვა აქტივები)	40,241	111,804
	9,815,132	**14,058,277**

18.2.2. ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე. საანგარიშგებო თარიღში ყველა ფინანსური ვალდებულება იყო მიმდინარე, გარდა შემდეგისა:

	1 წლამდე	**1-დან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**სულ**
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	93,942	86,969	-	180,911
2019 წლის 31 დეკემბერი	**93,942**	**86,969**	**-**	**180,911**
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	384,077	-	-	384,077
2018 წლის 31 დეკემბერი	**384,077**	**-**	**-**	**384,077**

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

განმარტებითი შენიშვნები

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2019	2018
ტრანზაქციის ოდენობა:		
აქციონერისთვის გადახდილი სამედიცინო ზარალი	1,322,215	1,585,738
ნაშთი:		
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	180,911	384,077

ზემოთ წარმოდგენილი ტრანზაქციები შესრულდა იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებთან.

საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია იყო შემდეგი:

	2019	2018
საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია	360,918	423,019

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 10 აპრილს.

COVID 19 ვირუსის გლობალურ გავრცელებასთან დაკავშირებით, საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. შექმნილი ვითარების გამო, სადაზღვევო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისს კომპანიის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, თანაც, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს. კომპანია მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში: შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები თანამშრომლებისთვის, გადარიცხულია თანხები COVID 19-თან ბრძოლის ფონდში.